


## აზროვნების ილუზია || აზროვნების ტიპური შეცდომა -

Illusion of thinking - Иллюзия мышления

მცდარი **დასკენის** გამოტანა, რომელსაც კანონზომიერად იმეორებენ სხვადასხვა ადამიანები და რომელიც არაა გამოწვეული ამ დასკენისთვის საჭირო **მსჯელობის** სირთულით ან **მიხედვის** სიძნელით.

ბ-ს ამრუდებს „თვალშისაცემი“ მონაცემები: **აღქმა-წარმოდგენა** ანუ **თვალსაჩინობა** (როდესაც ეწინააღმდეგება **ლოგიკას**), **ასოციაციები**, **გრძნობები** (მათ შორის მთავარია პირადი მიკერძოებით გამოწვეულნი), ზოგადად **ეგოცენტრიზმი**; ცნებაზე მსჯელობა არა ლოგიკით, არამედ **ცნების პროტოპიპთან** ასოციაციით.

აღქმის მიერ ბ-ის გამრუდების მაგალითია [უ. პიაჟე]: 5-6-წლიან ბავშვს უჩვენებენ შუშის ორ, **A** და **B** ჭურჭელს, რომლებშიც ასხია რძე და ეკითხებიან, თუ რომელშია მეტი, უფრო ბევრი რძე. ბავშვი პასუხობს, რომ ერთნაირია



(ტოლია, სულერთია). შემდეგ **B** ჭურჭლიდან ბავშვის თვალწინ რძეს გადაასხამენ სხვა, ვიწრო და მაღალ **C** ჭურჭელში. ბავშვს ისევ ეკითხებიან, თუ რომელშია მეტი, უფრო ბევრი რძე, **A**-ში თუ **C**-ში. თითქმის ყველა ბავშვი პასუხობს, რომ – **C**-ში. ბ-ისთვის ცხადია, რომ გადასხმით რძის რაოდენობა არ შეცვლილა, მაგრამ ამას ეწინააღმდეგება აღქმა – ბავშვისთვის „უფრო მაღალი“ იმდენად თვალშისაცემი და მნიშვნელოვანია, რომ ძალიან ძნელია მისი გათანაბრება დაბალთან.

სითხე უწყვეტი მასალაა. იგივე **0** ხდება **დისკრეტულ** მასალაზეც. 5-6-წლიან ბავშვს (და აგრეთვე ცუდად ნასწავლ 7-8-წლიან ბავშვსაც კი!) ნივთების ერთიდაიგივე რაოდენობა უფრო მეტი ჰგონია მაშინ, როცა ნივთების გროვა ფართოდაა გაფანტული. მაგ.:

\* \* \*  
\* \* \* \*  
\* \* \*

მარჯვენა გროვაში უფრო მეტი,  
უფრო ბევრი ფანტელი ჰგონია  
რომ არის, ვიდრე მარცხენაში.

\* \* \*  
\* \* \* \*  
\* \* \*

ან პირიქით ჰგონია – თუკი სიმკვრივეს მიაქცია ყურადღება; მაგრამ საქმე

ისაა, რომ ფართობიცა და სიმკვრივეც – სივრცის თვისებებია და არა რაოდენობისა. მაშასადამე ბავშვი ხედავს სივრცეს და მისი ერთი თვალშისაცემი ნიშანთვისების მიხედვით აფასებს რაოდენობასაც. ხოლო სხვა ნიშანთვისებაზე ვეღარ ინაცვლებს, რადგან **დეცენტრაცია** უჭირს. ამიტომ არა აქვს გააზრებული რაოდენობის **ინვარიანტობა** (უცვლელობა) და ესე იგი, არც ნამდვილი რაოდენობა. თანაც, ბავშვს არ შეეძლოს ის, რომ გროვას მის თვალწინ გაფანტავს; ხშირად არ შეეძლოს არც ის, რომ დათვლის შედეგად რწმუნდება: ერთ გროვაშიც ათი ცალია და მეორეშიც! ამ დროს ხშირად ბავშვმა ვითომ „იცის“ ასის ფარგლებში შეკრება-გამოკლება. ეს მაგალითი ძალიან მკეთრად გვიჩვენებს, თუ რამდენად უფრო ძლიერია თვალსაჩინოება და სხვა უშუალო შთაბეჭდილება (მაგ. ემოციური), ვიდრე **ბ**-ით გაშუალებული დასკვნა. „ბავშვს გული ენაზე აქვს, გონება კი – თვალშიო“ [სვანური ანდაზა]. მაგრამ საქმე ისაა, რომ ზრდასრულთა დიდი უმრავლესობაც, არსებითად, ასევეა **[დეკალაუზი]**. ამის მკვეთრი მაგალითია რეკლამისა და შოუების, აგრეთვე **სტერეოტიპების** ძლიერი გავლენა საზოგადოების დიდ უმრავლესობაზე.

**ატშ**-ა აგრეთვე მართებულია აღრევა სასურველში, ანუ **ბ**-ს ძლიერ ამრუდებს სასურველობა, გრძნობითი მიკერძოება. ამრუდებს სხვა **განწყობისეული** ძალებიც, მათ შორის ენობრივი [იხ. **ენა და აზროვნება**] და **არაენობრივი სოციალურ-ეთნოკულტურული ზეგავლენები** და **კონფორმიზმი**. თუკი ვითარება გართულებულია, მაშინ უმაღლესდამთავრებული მასწავლებლებიც კი ექცევიან ამგვარი განწყობისეული ძალების ზეგავლენის ქვეშ. მაგ., მათ ადვილად გამოაქვთ მართებული დასკვნა ადვილი ლოგიკური **სილოგიზმიდან**, რომლის შინაარსია მცენარეთა და ცხოველთა ცნებების ურთიერთმიმართება; მაგრამ თუკი ზუსტად ასეთ სილოგიზმში შეიცვლება (ლოგიკისთვის არარსებითი!) შინაარსი – მცენარე-ცხოველთა ნაცვლად ქართველთა მიმართება აფხაზებთან, ანდა მართლმადიდებლობის მიმართება იეღოველებთან – მაშინ ადამიანს ვეღარ გამოაქვს იგივე მართებული დასკვნა [შ. ნადირაშვილი, თ. აბაშიძე]. ცოტა სხვაგვარი, საინტერესო მაგალითი მსჯელობისა: „ეროვნული მრავალფეროვნება კაცობრიობის საუნჯეა; არა აქვს მნიშვნელობა ერის რიცხოვნებას; ყოველი ერი თანაბრად ძვირფასია; ამიტომ ყოველი ერის თვითმყოფადობა უნდა შენარჩუნდეს და ყოველ ერს ჰქონდეს სრული თვითგამორკვევის უფლება – თავად აირჩიოს საკუთარი გზა, წყობილება,

დამოუკიდებლობა თუ რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან მიერთება...“ ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს შესაბამისი დასკვნა როგორც ქართველ ერთან დაკავშირებით (რაც ჩვენი ხალხისთვის სრულიად ლოგიკური ჩანს), ისე აფხაზებთან დაკავშირებითაც. ეს კი ჩვენი ხალხისთვის ნაკლებად ლოგიკური, სადავო, დაუსაბუთებელი ჩანს, რადგან დასკვნის შინაარსია მათთვის მიუღებელი. ეს იმას ჰგავს, ადამიანი რომ ადვილად ხსნიდეს ორმოქმედებიან არითმეტიკულ ამოცანას ვაშლებზე (ერთ თევზზე 10 ვაშლია, მეორეზე – 2-ით მეტი...), მაგრამ ვერ ხსნიდეს იმავე ამოცანას, თუკი მასში ვაშლები შეიცვლება ვირთხებით [იხ. **აზროვნების განვითარების ძირითადი კანონზომიერება**].

აი-ის საყურადღებო სახეობებია: **კაუზალური ატრიბუცია; ეკონომიკური შეფასების ტიპური შეცდომა; სტატისტიკური შეფასების ტიპური შეცდომა; ზნეობრივი შეფასების ტიპური შეცდომა**. ყველა ამ შეცდომის ზოგადი საფუძველია **სააზროვნო განწყობის ასიმილაციური მოქმედება**, ზედმეტად გადავრცელებული, რომელსაც არ მოჰყვება მისი შესასწორებელი არც **კონტრასტული ილუზია** და არც **ობიექტივაცია** [იხ. აგრეთვე **ესთეტიკური შეფასების ტიპური შეცდომა**]. უფრო ხშირად არ მოჰყვება იმიტომ, რომ ადამიანს უჭირს შეუსაბამობის გააზრება, რადგან ვერ აცნობიერებს ვითარების არსებით მიმართებებს – რომლებიც, როგორც წესი, **აბსტრაქტულია** და ამიტომაც ძნელად გასააზრებელი. ამის ნაცვლად, აცნობიერებს არაარსებით, მაგრამ თვალშისაცემ კონკრეტულ შინაარსებს. ხოლო თუკი მცდელი ცდილობს, რომ ცდისპირს შეუსაბამობა გააცნობიერებინოს, ანუ ა-ის შეფერხება გამოიწვიოს და ამით ობიექტივაცია აღძრას, ეს მხოლოდ იშვიათად ასწორებს აი-ს. უფრო ხშირად კი იწვევს არა ობიექტივაცია-**გააზრებას**, არამედ **რაციონალიზაციას**. ეს ყოველივე გვიჩვენებს შესაბამისი სააზროვნო **ფიქსირებულ განწყობათა მტევნის** ძლიერ **რიგიდულობას, სტატიკურობას, გახევებულობას** (ეს უკანასკნელი თვისებები **ნიჭიერების** დამახასიათებელ თვისებათა საპირისპიროა). გაცილებით უფრო ადვილია, რომ ადამიანმა ახალი უჩვეულო ფაქტი როგორღაც, თუნდაც ხელოვნურ-ნაძალადევად ჩასვას არსებულ მოდელში (**ასიმილაცია**), ვიდრე ამ ახალი უჩვეულო ფაქტის გამო გადასინჯოს მოდელი (**აკომოდაცია**); და მაინც, თუკი გადასინჯვა აუცილებელი გახდება, ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა ყოველნაირად ცდილობს, რომ ეს გადასინჯვა მოცულობითაც და სიღრმითაც

უმცირესი იყოს [დ. კანემანი, ა. ტვერსკი]. ამ ყოველივეს კიდევ ერთი მიზეზი იგივე ეგოცენტრიზმია: ადამიანები გაცილებით უფრო ადვილად და ხალისით ამჩნევენ და იმასსოვრებენ მათი შეხედულების დამადასტურებელ ფაქტებს, ვიდრე უკუზღებენ ფაქტებს (რომლებსაც უგულვებელყოფენ და მიივიწყებენ). თანაც მრავალი გაურკვეველი ფაქტი, ასოციაციურად, დამადასტურებლად ეჩვენებათ.

აი-ის ზოგადი და მთავარი მიზეზია ა-ის ინფანტილიზმი, კერძოდ – სააზროვნო განწყობათა ინფანტილური რიგიდულობა: როგორც ეგოცენტრიზმი, ისე მიჯაჭვა სატობრივ-ასოციაციურ დონეზე არის ის ორი მთავარი მახასიათებელი, რომლებიც ბავშვის აზროვნების თავისებურებას შეადგენს.